ხელშეკრულება №39
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

23 იანვარი, 2024 წ.

სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო (მისამართი: ქ. თბილისი, ინოვაციების ქუჩა 7, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. #GE24NB0330100200165022; სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, სკ-204582521), შემდგომში წოდებული `შემსყიდველად", წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ავთანდილ კასრაძის სახით და **პიზიკური პირი თათია თათოშვილის** (საბანკო რეკვიზიტები: ბანკის დასახელება: საქართველოს ბანკი; ანგ. GE20BG0000000533848001, ბანკის კოდი: BAGAGE22, სკ - 47101046992) ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 22 იანვრის №119 განკარგულების, SMP230003135 მოდულის შეთანხმებისა და №45/01 მოხსენებითი ბრათის თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ''ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ'' (შემდგომში _ `ხელშეკრულება~) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 ''ხელშეკრულების ღირებულება'' _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ''დღე'', ''კვირა'', ''თვე'' _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 ''შემსყიდველი'' – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 ''მიმწოდებელი'' – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 ''მომსახურება'' _ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს პროექტის Do IT in Georgia (რომელიც ასევე მოიცავს საგრანტო პროექტს Do IT in EU) ფარგლებში განსახორციელებელი მარკეტინგული აქტივობებისა და კომუნიკაციებისათვის, მარკეტინგულ მენეჯმენტთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების (CPV-79413000) შესყიდვა.

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **31360 (ოცდათერთმეტი ათას სამასსამოცი)** ლარს. ერთი თვის მომსახურების ღირებულება შეადგენს 2530 (ორიათას ხუთას ოცდაათი) ლარს, ხოლო სამოქმედო გეგმის დოკუმენტის მომსახურების ღირებულებაა 2530 (ორიათას ხუთას ოცდაათი) ლარი. რეგიონალურ ტექნოპარკებისა და ინოვაციების ცენტრში საჭირო საკონსულტაციო მომსახურების გაწევის ღირებულება განისაზღვროს გაწეული ფაქტიური ღირებულების შესაბამისად არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარისა.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ით.

4.მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელსეკრულების გაფორმებიდან - 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ინოვაციების ქუჩა N7; არაუგვიანეს 2024 წლის 31 იანვრისა წარმოადგინოს სამოქმედო გეგმის დოკუმენტი.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

დ) განახორციელოს სხვადასხვა სახის აქტივობები, რაც მოიცავს: მარკეტინგული და საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავებას, სოციალური ქსელების მართვას, ორენოვანი (ქართული, ინგლისური) კონტენტის შექმნას, რელიზების მომზადებას, ბენეფიციარებთან და დაკავშირებულ მხარეებთან კომუნიკაციას, რეპორტინგის წარმოებას მოთხოვნების შესაბამისად და სხვა მნიშვნელოვან აქტივობებს, რომელიც დაკავშირებულია წარმატებულ მარეკტინგულ კამპანიებთან.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მომსახურების ხარისხი

5.1 მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სფეროში დადგენილ სტანდარტებს და ხელშეკრულებაში აღნიშნულ მაჩვენებლებს.

6.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგისა და კომუნიკაციის ხელმძღვანელი - სალომე მაჭარაშვილი ან/და სხვა უფლებამოსილი პირი.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 2 (ორი) დღეში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7.მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, ყოველი თვის ბოლოს, ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, თუ მიღება-ჩაბარების ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება შემდეგ სამუშაო დღეს რაც არ ჩაითვლება ვადაგადაცილებად.

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარე - ავთანდილ კასრაზე .

8. ანგარიშსწორება და დაფინანსების წყარო

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება ყოველთვიურად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8.3. რეგიონალურ ტექნოპარკებისა და ინოვაციების ცენტრში საჭირო საკონსულტაციო მომსახურების გაწევის შემთხვევაში, შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორება 100%-ის ოდენობით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშის შესაბამისად. მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, რაზეც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

8.4. დაფინანსების წყარო - 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ვადების გადაცილების შემთხვევაში ან 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.02%**-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული ვადების გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველის ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების **0.02%**-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13.ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

15.ფორს-მაჟორი

15.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს- მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და არსებობის შემთხვევაში - ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის დაუბრუნებლობას.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16.სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია 4 გვერდზე და დამოწმებულია ელექტრონული ხელმოწერით ორივე მხარის მიერ;

ყოველიველ ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

17.მხარეები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო	**პიზიკური პირი** **თათია თათოშვილი**
	Tatia Tatoshvili Digitally signed by Tatia Tatoshvili Date: 2024.01.24 12:59:06 +04'00'

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW GEORGIA S INNOVATION AND TECHNOLOGY AGENCY

Digitally signed by LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW GEORGIA S INNOVATION AND TECHNOLOGY AGENCY
Date: 2024.01.24 14:49:16 +04'00'